ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1342099

ნომერი: AR1228732

თარიღი : 20.06.2014

გაცემის თარიღი : 23.06.2014

გაცნობის თარიღი : 23.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი III , კორპუსი 301 , მიმდებარედ , ნაკვეთი 26/014 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარი მღვდელაძე პ/ნ 01012018576
- ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ კორპ 407 ბ 57

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 მარტის #1185155 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 13 ივნისს #AR1228732 განცხადებით მომართა შპს „ვარკეთილაირი“–ს დირექტორმა ნუგზარ მღვდელაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 25 მარტის #1185155 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 მარტის #1185155 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, დასახლება ვარკეთილი-3, მ/რ III, კორპუსი #301–ის მიმდებარედ შპს "ვარკეთილაირი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.19.39.026.014) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა შენობის საერთო, საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები.

სამასხურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „ვარკეთილაირი“–ს დირექტორის ნუგზარ მღვდელაძის 2014 წლის 13 ივნისის #AR1228732 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 მარტის #1185155 ბრძანებაში. კერძოდ, საერთო ფართობი ნაცვლად 2614.86 კვ.მ–ისა დაფიქსირდეს 2604.09 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად 1469.43 კვ.მ–ისა დაფიქსირდეს 1460.61 კვ.მ; საზაფხულო ფართობი ნაცვლად 185.45 კვ.მ–ისა დაფიქსირდეს 183.50 კვ.მ;
3. 2014 წლის 25 მარტის #1185155 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 მარტის #1185155 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.